

გიორგი ღვთაძე
 ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
 ქუთაისის სამართლისა
 და ეკონომიკის
 უნივერსიტეტის სრული პროფესორი,
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის სრული პროფესორი

**ეკონომიკური რეფორმები მსოფლიოს
 სხვადასხვა რეგიონებსა
 და ცალკეულ სახელმწიფოებში**

XX საუკუნის 80-იან წლებამდე, ფინანსურ სექტორში სამთავრობო ჩარევა ფართოდ იყო გავრცელებული როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. აღნიშნულის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ინდუსტრიალიზაციის, ომის შემდგომი რეკონსტრუქციისა და განვითარების ხელშეწყობა და ა.შ. ბევრ განვითარებად ქვეყანაში, ხსენებული მიზნების მიღწევას თან სდევდა მთელი რიგი შერჩეული დარგების იაფი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რაც ხორციელდებოდა საპროცენტო განაკვეთის და სესხების ფორმების რეგულირების სხვადასხვა მეთოდებით.

აღნიშნულ პერიოდში, სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის ძირითად ელემენტებს შეადგენდა:

- საბანკო საქმიანობის რეგულირება;

- კოოპერაციული საბანკო ქსელების სამთავრობო მხარდაჭერა;
- სპეციალიზირებული საფინანსო შუამავლების დაფუძნება და
- კომერციული თუ განვითარების ბანკების პირდაპირი სახელმწიფო საკუთრება.

უფრო მეტიც, ერთობ შეზღუდული იყო ეროვნული ბაზრების სილიავის ხარისხი საერთაშორისო ფინანსური ტრანსაქციებისა და უცხოური ბანკების შეღწევისათვის.

ფინანსური პოლიტიკა განიცდიდა 1970-ანების მზარდი კრიტიციზმის და მოგვიანებით – ადრეულ 1980-ანებში, დავალიანებათა კრიზისის ზეგავლენას. აღნიშნულს ემატებოდა განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და რჩევები, რომლებიც ხაზს უსვამდა როგორც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ისე “Laissez-fair” დოქტრინის ხარვეზებს, მათ შორის ფინანსურ სფეროში.¹

¹ Dullien S., Central banking, financial institutions and credit creation in developing countries,

«ფინანსური შეკავების» თეორიის² მიხედვით, დანაზოგები დამოკიდებულია ფინანსური აქტივების უკუგების დაბალ ან უარყოფითი სიდიდის რეალურ განაკვეთებზე. ითვლებოდა, რომ ფინანსურ აქტივებზე მოგების ნორმის დაბალი განაკვეთები გამოიწვევდა:

- დანაზოგების გამოყენების და განთავსების მაღალ არაეფექტიანობას;
- ხელს შეუწყობდნენ მოთხოვნის ზრდას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების ფლობაზე;
- კაპიტალის გადინებას;
- ეფექტიანი ინვესტირებისათვის ბიზნესებისათვის თანხების მისესხების მაგივრად, დამზოგავების მიერ არაპროდუქტიული ფიზიკური აქტივების ფლობის მოტივაციის ზრდას;

ასევე ითვლებოდა, რომ სახელმწიფოს მიერ რეგულირებული დაბალი საპროცენტო განაკვეთები და

კრედიტების განაწილება, შეამცირებდნენ ინვესტირების ხარისხს და გაზრდიდნენ მის კაპიტალტევადობას, რაც გამოიწვევდა წარმოებისა და ვაჭრობის სისტემის დეფორმირებას.

მიიჩნეოდა, რომ ბანკებს შორის კონკურენციის ნაკლებობა გამოიწვევდა ფინანსური შუამავლობის არაეფექტიანობას. აგრეთვე, საფუძველმოკლებული არ იყო მსჯელობა, რომ ეროვნულ ფინანსურ სისტემაში სახელმწიფო ჩარევა ძვირი დაჯდებოდა, საჯარო ბანკებში არასაიმედო და უიმედო ვალების შესაძლო ზრდის პერსპექტივის გათვალისწინებით.³

არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ დანაზოგების სტიმულირების გზით საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარის წანაცვლებამ და საბანკო სისტემაში რესურსების მოზიდვამ შეიძლება მიგვიყვანოს უფრო მაღალ ინვესტიციებამდე და ეკონომიკურ ზრდამდე. საბაზრო ძალებისათვის კრედიტის განაწილების მინდობა, წარმოადგენს მხოლოდ პროექტს (იდეას), რომელიც გვიჩვენებს იმაზე მეტ მომგებიანობას, ვიდრე საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეიძლებოდა

Background paper prepared for the *Trade and Development Report, 2008*, Geneva, UNCTAD.

² Shaw, McKinnon, 1973, *Trade and Development Report*, 2008, p.96

³ World Bank, 1989: 2, 60

დაფინანსებულიყო. ბაზრის სეგმენტირება ფორმალურ (ოფიციალურ) ბაზრად - ზოგიერთი პრივილეგირებული მსესხებლისათვის არანორმალურად დაბალი ფასებით და არაფორმალურ (არაოფიციალურ) ბაზრად - დანარჩენებისათვის საკმაოდ ძვირი და მკაცრი პირობებით, განიხილებოდა როგორც ზემოთქმულის საბოლოო შედეგი. ფინანსური დერეგულირების გარეგანი კომპონენტი მოიცავდა ეროვნული ფინანსური ბაზრების გაღებას უცხოური ბანკებისათვის, რის მიზანსაც წარმოადგენდა:

1. საბანკო სექტორში კონკურენციის გაზრდა;
2. კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის ხელშეწყობა;
3. უცხოური დანაზოგების და ინვესტიციური რესურსების მოზიდვა;

განსაკუთრებით რადიკალურ ფინანსურ რეფორმებს ადგილი ჰქონდა ლათინურ ამერიკაში. სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზრის⁴ გამოცდილების მიუხედავად, სადაც ნაადრევი რეფორმები 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების

დასაწყისში დასრულდა სავალუტო და საბანკო კრიზისით,⁵ არარეგულირებადი კრედიტის განაწილება და თავისუფალი საპროცენტო განაკვეთები მოგვევლინა კანონად მთელს რეგიონში.

ჩილესა და კოლუმბიის გარდა, სახელმწიფოთა უმრავლესობაში გახსნილ იქნა კაპიტალის ანგარიში⁶ და 1990-იანებში უცხოურ ბანკებს ნება მიეცათ მნიშვნელოვნად გაეფართოებინათ თავიანთი აქტიურობა. მექსიკაში 1991-1992 წლებში განხორციელდა კომერციული ბანკების ხელახალი პრივატიზაცია, 10 წლის შემდეგ, რაც მოხდა მათი ნაციონალიზაცია დავალიანებათა კრიზისის შუა პერიოდში. შედეგად, კერძო ბანკების რაოდენობა დროის მოკლე ვადაში 18 ერთეულიდან 37-მდე გაიზარდა.

ბევრი ლათინურ-ამერიკული ქვეყანა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, ასევე ცდილობდნენ საკუთარი საფონდო ბაზრების განვითარების დაჩქარებას, რომლებიც განიხილებოდნენ როგორც გრძელვადიან პერიოდში სამთავრობო

⁴ არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაისა და ურუგვაის ეკონომიკური კავშირი

⁵ EBRD, *Transition Report*, London, European Bank for Reconstruction and Development, 2007

⁶ საგადაამხდელი ბალანსის ნაწილი, რომელიც აერთიანებს კაპიტალის მოძრაობას, საერთაშორისო სესხებს და გრანტებს.

ჩარვევისაგან თავისუფალი დაფინანსების შესაძლო რესურსი. ბევრ ქვეყანაში შეიქმნა ფასიანი ქაღალდებისა და საბირჟო კომისიები, გაუმჯობესდა საბირჟო ვაჭრობის მარეგულირებელი და საზედამხედველო ქსელები, გაფართოვდა კლირინგისა და დავათა გადაწყვეტის სისტემები.

აღნიშნულ რეფორმებს ადგილი ჰქონდა გარემოში, რომელიც უკავშირდებოდა კაპიტალის ბაზრის განვითარებას. უცხოური პორთფელური ინვესტიციების გაზრდის შედეგად, ზოგიერთ ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ფასებმა მოიმატა, და საგარეო სახელმწიფო ვალი საბანკო სესხებიდან, ბრედის გეგმის ფარგლებში, ტრანსფორმირდა ფასიან ქაღალდებში.

კაპიტალის ბაზრის განვითარების შემდეგი საკვანძო საკითხი იყო საპენსიო სქემების რეფორმირება, რომელშიც სახელმწიფო სისტემა⁷ შეივსო ან ჩანაცვლდა კერძო ფონდების სისტემით. ახალ სისტემაში, შენატანები აკუმულირდებოდა კერძო,

⁷ ინგლისურად - public pay-as-you-go system, რაც ნიშნავს: 1) ანგარიშების დროულ განაღდებას, 2) შესაბამისი გადახდების განხორციელებას ხელფასის დარიცხვისას.

პირად ფონდებში, რომლებიც იმართებოდა სპეციალიზირებული ინსტიტუტებით. შესაძლებელი იყო აღნიშნული გრძელვადიანი დანაზოგების ინვესტირება სხვადასხვა ფინანსურ აქტივებში - საბანკო დეპოზიტებში, ჩვეულებრივ აქციებსა თუ ობლიგაციებში. ვინაიდან საპენსიო რეფორმის ძირითად მიზანს შეადგენდა საპენსიო სისტემის გაძლიერება, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ მოხდებოდა «გრძელვადიანი დანაზოგების, კაპიტალის ბაზრის გაფართოება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა».⁸

ლათინური ამერიკის ქვეყნების მსგავსად, ფინანსურ რეფორმებს ადგილი ჰქონდათ სხვა რეგიონებშიც. ცდილობდნენ რა, ვჭრობის პირობების სტაბილურ გაუარესებასა და ნედლეულსა და მასალებზე ისტორიულად დაბალ ფასებთან დაკავშირებული კრიზისის დაძლევას, ბევრმა აფრიკულმა ქვეყანამ განახორციელა მსგავსი რეფორმები. აღნიშნული მდგომარეობა გამოიწვია და გაამწვავა დივერსიფიკაციისა და სტრუქტურული ცვლილებების სიმწირემ და რეგიონის სახელმწიფოთა უმრავლესობაში შეწყდა კაპიტალის

⁸ World Bank Report, 1994, p. 23 and 254

შემოდინება. ბევრ აფრიკულ ქვეყანას, მათი საგარეო დავალიანების დაფინანსებისათვის ესაჭიროებოდათ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან დახმარება. ამის გამო, მათ განახორციელეს ფართომასშტაბიანი ლიბერალიზაცია სავაჭრო და საფინანსო სფეროებში, რაც თავის მხრივ სტრუქტურული ცვლილებების პროგრამების ნაწილს წარმოადგენდა.⁹

ლათინური ამერიკისაგან განსხვავებით, ფინანსური ლიბერალიზაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არ იყო დაკავშირებული ფინანსურ და მაკროეკონომიკურ კრიზისებთან. პირიქით - აღნიშნულს წინ უსწრებდა კაპიტალის ფორმირების მაღალი განაკვეთებით (მოგების მაღალი ნორმით) სტიმულირებული (მართული) რამდენიმეწლიანი დინამიური ზრდა და ინდუსტრიალიზაცია. ფინანსურ სისტემაში სტრატეგიული სახელმწიფო ინტერვენციამ, მათ შორის კრედიტების რეგულირებამ და სარგებლის სუბსიდირებამ, ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა

განვითარების პროცესების წარმატებაში. კორეაში, 1981 წლიდან დაწყებული, ხორციელდებოდა ბანკების თანდათანობითი პრივატიზება, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო თავის საკუთრებაში ინარჩუნებდა განვითარებისა და სპეციალიზირებულ ბანკებს. პარალელურად შესუსტდა საპროცენტო განაკვეთებისა და კრედიტის განაწილებაზე კონტროლი. 1993 წლიდან ფინანსური ლიბერალიზაცია კიდევ უფრო გაღრმავდა, რომელიც მოიცავდა კერძო საგარეო სესხების გაკონტროლებაზე უარის თქმასაც.¹⁰

ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში¹¹ ფინანსური ლიბერალიზაცია უფრო ადრე დაიწყო. ინდონეზიაში ცენტრალურმა ბანკმა უარი თქვა კრედიტის განაწილებიასა და საპროცენტო განაკვეთების პირდაპირ კონტროლზე ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში. ბაზარზე შეღწევადობის ლიბერალიზება 1988 წელს, გამიზნული იყო სამინაო და უცხოური ბანკების რაოდენობის

⁹ Financial reforms in developing and transition economies, *Trade and Development Report*, UNCTAD, 2008, p.96

¹⁰ EBRD, Structural change indicators, სხვადასხვა წლების ანგარიშები, ხელმისაწვდომია: www.ebrd.com/country/sector/econo/stats/sci

¹¹ ინგლისურად - Newly Industrializing Economies (NIEs)

ზრდისათვის და მათი საკრედიტო პორთფელის მკვეთრი ზრდისათვის.

ტაილანდში, 1990-იანი წლების დასაწყისში, სწრაფად განვითარებული ფინანსური ლიბერალიზაციის ფარგლებში, მოიმატა საპროცენტო განაკვეთების დადგენილმა ზედა ზღვრებმა და გამარტივდა უცხოური ვალუტებთან დაკავშირებული ოპერაციების პროცედურები. კაპიტალის მოძრაობისათვის სილიავე, შემდგომ პერიოდში განვითარდა 1993 წელს BIBF-is¹² შექმნით. აღნიშნული წარმოადგენდა ტაილანდის რეგიონულ ფინანსურ ცენტრად გადაქცევის პროგრამის ნაწილს და უცხოურ სესხებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას ადგილობრივი კომპანიებისათვის.

ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში ვალდებულებითი (ობლიგაციების) და წილობრივი (აქციების) ფასიანი ქაღალდების ბაზრების განვითარება თან სდევდა ინსტიტუციური ქსელის გაძლიერებას, როგორებიცაა საზედამხედველო ორგანოები, კლირინგისა და საარბიტრაჟო პროცესები, ინფორმაციული

მექანიზმები და ა.შ. მოგვიანებით, რამდენიმე სახელმწიფომ გადაწყვიტა მსგავსი ინსტიტუციებისა და რეგულაციების ჰარმონიზება რეგიონის ფარგლებში, რათა შეექმნათ ინტეგრირებული რეგიონული საფონდო ბაზარი.¹³

ჩინეთში ფინანსური რეფორმები მიმდინარეობდა შედარებით ნელი ტემპებით. 1980-იან წლებამდე, ჩინეთის სახალხო ბანკი ფუნქციონირებდა ერთდროულად როგორც ცენტრალური ბანკი და როგორც კომერციული ბანკი. ფინანსური რეფორმების პირველი ნაბიჯი იყო აღნიშნული კომერციული ბანკის ფუნქციების ტრანსფორმაცია ოთხ ბანკში. ისინი კვლავაც რჩებოდნენ სახელმწიფო საკუთრებაში, მაგრამ სპეციალიზირდებოდნენ სპეციფიკური არაფინანსური სექტორის დაკრედიტებაში, მათ შორის - კონსტრუქციები, აგროკულტურული სფერო, ინდუსტრია და კომერცია. დამატებით შეიქმნა რამდენიმე რეგიონული ბანკი: სასოფლო საკრედიტო კოოპერატივები, ურბანული საკრედიტო კოოპერატივები, სატრასტო და ინვესტიციური კორპორაციები.

¹² BIBF _ Bangkok International Banking Facility. ამ შემთხვევაში, სიტყვა "Facility" უნდა გავიგოთ, როგორც სესხი, კრედიტი, დაკრედიტების სქემა, პროგრამა თუ ხელშეკრულება

¹³ Eichen-green, Borensztein and Panizza, Trade and Development Report, 2007, chapter V

ფასიანი ქაღალდების ბაზარმა ფუნქციონირებმა დაიწყო 1981 წელს, თუმცა მას ჯერ კიდევ არ დაუწყია ძირითადი როლის შესრულება კერძო საწარმოთა სექტორის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში. 1990-იანი წლების დასაწყისში შექმნილი საფონდო ბირჟა საკმაოდ არასტაბილური და სეგმენტირებული იყო და კვლავაც ნაკლებმნიშვნელოვნად რჩებოდა ბიზნესისა და ინვესტიციების დაფინანსებისათვის, კომპანიათა მოგებისა და საბანკო სესხებთან შედარებით.

დასავლეთ აზიის სახელმწიფოებში, გარდა თურქეთისა, ფინანსური რეფორმები ტარდებოდა უფრო თანმიმდევრულად, ფრთხილად და დაკვირვებით. ბევრმა ქვეყანამ მხოლოდ ნაწილობრივ გახსნა თავიანთი საბანკო სისტემა კერძო და უცხოური ბანკებისათვის. პარალელურად, 1970-იანი წლების ბოლოდან ზოგმა დასავლეთ აზიურმა და ისლამურმა ქვეყანამ განავითარა ისლამური საბანკო სისტემა. აღნიშნული გულისხმობდა შარიათის პრინციპების გატარებას ფინანსურ სფეროში. კერძოდ:

- გამსესხებლებისათვის სარგებლის გადახდის კრძალავს მსესხებლების მხრიდან;
- მეანაბრების მიერ საბანკო მოგების ნაწილის მიღებას;
- მსესხებლების მიერ, საპროცენტრო სარგებელის მაგივრად, დაფინანსებული აქტივებიდან მოსალოდნელი მომავალი მოგების ნაწილის გადახდას.

გარდა აღნიშნულისა, მსესხებლებს შეიძლება დაკისრებოდეთ ტრანზაქციების განსხვავებული საფასურები.

ჩინეთის მსგავსად, ფინანსური რეფორმები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, წარმოადგენდა ეკონომიკურ სისტემაში განხორციელებული სისტემური ცვლილებების ნაწილს, როდესაც ცენტრალიზებული საგეგმო, ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი სისტემიდან ხდებოდა ეკონომიკის მართვის საბაზრო პრინციპებზე გადასვლა. უპირველეს ყოვლისა, მოხდა ორ იარუსიანი საბანკო სისტემის ფორმირება, რომელიც მოიცავდა ცენტრალურ ბანკსა და

ახლადწარმოქმნილ კომერციულ ბანკებს.

რუსეთის ფედერაციაში, 1990-იან წლებში ოპერირება დაიწყო ასეულობით ახალმა ადგილობრივმა ბანკმა და XXI საუკუნის დამდეგს ისინი ფლობდნენ «მთლიანი საბანკო აქტივების 50%-ზე მეტს».¹⁴ რამდენიმე მსხვილი ბანკი წარმოადგენდა უმსხვილესი ინდუსტრიული ჯგუფების ნაწილს და მათი ბიზნესის უმეტესობა ვითარდებოდა ამ გაერთიანებებს შიგნით.

ცენტრალური აზიის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ფინანსური სისტემა ჯერ კიდევ იმართება სახელმწიფო ბანკების მიერ, რომლებმაც შეითავსეს ყოფილი საბჭოთა ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციები, რომლებიდანაც მათ ასევე უმეტესწილად მიიღეს მემკვიდრეობით არასაიმედო ვალების პორტფელიც. ფაქტობრივად არ არსებობდა საბანკო რეგულირება და შედეგად, ბანკების დიდი ნაწილი მცირე იყო ზომითაც და კაპიტალის მოცულობითაც.

ფინანსური რეფორმები მოიცავდა საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაციასა და კაპიტალის

ანგარიშის გახსნას. გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობაში, სახელმწიფო ფინანსურმა ინსტიტუტებმა დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, 1990-იანი წლების ბოლოს განხორციელებული პრივატიზაციის პროცესის შედეგად, როდესაც უცხოური ბანკების და ზოგიერთი სამამულო ბანკის აქტივები თვალშისაცემად გაიზარდა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში დაწყებული ეკონომიკური რეფორმები არ იყო სათანადოდ მომზადებული. ყოველივე ძველს ეთქვა უარი და დაიწყო მისი დაშლა ისე, რომ მომზადებული არ ყოფილა «ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებისათვის აუცილებელი თეორიული, მეთოდური და ორგანიზაციული წანამძღვრები.»¹⁵

საქართველოში მიზანმიმართული ეკონომიკური რეფორმების გატარება დაიწყო 1994 წლიდან, როდესაც საქართველოში შემოვიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ამ პერიოდიდან განვითარებული მოვლენები ფაქტობრივად იმ პროცესების ანალოგი იყო, რომლებსაც

¹⁴ Trade and Development Report, UNCTAD, 2008, p. 98

¹⁵ მესხია ი., მურჯიკნელი მ., ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბ., 1996, გვ.3

ადგილი ჰქონდათ ყოფილი სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებში და ნაკლებად ითვალისწინებდა ეროვნულ თავისებურებებს. აღნიშნული მიზეზი იყო, ის ფაქტი, რომ აღნიშნულ სცენარებს ერთიდაიგივე «სცენარისტი» და «რეჟისორი» ჰყავდა, კონკრეტული მიზნებითა და მისწრაფებებით.

დღესაც არ წყდება კამათი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იყო გამართლებული საქართველოსათვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მონეტარული მოდელის შერჩევა და კეინსიანურ მიდგომებზე უარის თქმა. მნელი სათქმელია, რამდენად წარმატებული იქნებოდა სტრატეგიულ პროდუქტების ფასების სახელმწიფო რეგულირების შენარჩუნების პირობებში ეკონომიკის დინამიური, თანმიმდევრული ტრანსფორმაციის პროცესი. თუმცა, ჩვენს მიერ არჩეული «მოკური თერაპიის» პრინციპების გატარებამ ჯერ კიდევ ვერ მოგვცა სასურველი შედეგები. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ჯერ კიდევ სახეზეა განუვითარებელი ფინანსური ბაზარი, მაღალი საბანკო საპროცენტო განაკვეთები, სუსტი სადაზღვეო სისტემა, მწირი ადგილობრივი ინვესტიციური რესურსები, დაბალი

რეალური შემოსავლები და უმუშევრობის მაღალი დონე და ა.შ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის ბოლოსა და 2000-იანების დასაწყისში, რეფორმების წარმატებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს ქვეყნის მაშინდელი ხელისუფლების უმოქმედობა და ხშირ შემთხვევაში სსფ-ის რეკომენდაციების არასათანადო დონეზე შესრულებაც წარმოადგენდა.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პრინციპების და მიმდინარეობის საერთაშორისო გამოცდილების ცოდნას გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს ეკონომიკის შემდგომი გაჯანსაღების და კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის განვითარებაზე, შიდა ფაქტორებზე მეტად, მოქმედებს ისეთი გარეგანი საფრთხეები და უარყოფითი მოვლენები, რომელთა პროგნოზირება და პრევენცია ძალიან რთულია, ანალოგიური წარსულისა და დაახლოებით იგივე პოტენციალის მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება დადებითად იმოქმედებს სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული

ეკონომიკური პოლიტიკის
შემუშავებისა და რეალიზაციის
საქმეში.